საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000013512948718

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 50 21 / ივნისი / 2018 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების და ტაბელის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 აპრილის N10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/05/2014, 010250020.35.162.016227) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ გ) №14 შრიფტით შესრულებული წარწერა „დადგენილება №“ (დაიტანება „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო“ ჩანაწერის 2 ინტერვალით ქვემოთ შუა ნაწილში);

გ.ა.) №14 შრიფტით შესრულებული წარწერა „განკარგულება №“ (დაიტანება ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო“ ჩანაწერის 2 ინტერვალით ქვემოთ შუა ნაწილში);

გ.ბ) №14 შრიფტით შესრულებული წარწერა „ბრძანება №“ (დაიტანება „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის“, ასევე „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის “ ჩანაწერის 2 ინტერვალით ქვემოთ შეა ნაწილში).“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილი